

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის  
მიზნობრივი პროგრამა

**1. პროგრამის სახელწოდება**

შუახვევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ვეტერანთა დახმარების პროგრამა

**2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების დრო**

დაწყება 01 აპრილი 2019 წელი

დამთავრება 20 დეკემბერი 2019 წელი

**3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი**

25 050 (ოცდახუთათასორმოდდაათი) ლარი

**4. პროგრამის დაფინანსების წყაროები**

ძირითადი - შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი.

25 050 (ოცდახუთათასორმოდდაათი) ლარი

**5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო**

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია

## 6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა

ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს. კერძოდ: ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს. ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობების და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისთვის პროგრამა., რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ოჯახებზე მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი და 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“

ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ და აფხაზეთის ომში უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა. პროგრამა ასევე ითვალისწინებს ვეტერანთათვის თხევადი აირით უზრუნველყოფას კვარტალში ერთხელ.

## 7. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები

პროგრამის მიზანი	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთათვის მატერიალური დახმარება	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება

## 8. პროგრამის ბიუჯეტი

ხარჯთაღრიცხვა ღონისძიების მიხედვით

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის საშ. ღირებულება(ლარი)	სულ (ლარი)	
2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების და 1990-იან წლებში, აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრის ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახარება	3	1000 ლარი	3000	
ვეტერანთათვის თხევადი აირის შეძენა	245	30 ლარი (10კგ.)	22 050	
ჯამი			25050	

***dafinanseba wlebis mixedviT***

წყაროს დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	სულ
ძირითადი	25 050	0	0	25 050
დამატებითი	0			0
<b>sul</b>	<b>25 050</b>			<b>25 050</b>

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით

2019 წელი													
#	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	სუბსიდიები, დახმარებები და ტრანსფერები				X	X	X	X	X	X	X	X	X

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები (მომსახურების ფორმები)

#	შესყიდვების ობიექტის დასახელება	შეყიდვების (მომსახურების) განხორციელების ვადები	შესყიდვების (მომსახურების) განხორციელების ფორმა	შესყიდვებისთვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
		01 04. 2019 31. 04.2019	გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	22 050	

## დამატებითი ინფორმაცია

I. მატერიალური რესურსის გაცემის სქემა თხევადი აირის გაცემის შემთხვევაში:

დაფინანსება განხორციელდება შუახევის მუნიციპალიტეტის მერიასა და ტენდერში გამარჯვებულ მეწარმეს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

პროგრამაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობს ფიზიკური პირი, რომელიც არის შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტიურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე და მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტებს:

- 1 განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
- 2 პირადობისა და ვეტერანის დამადასტურებელი მოწმობების ქსეროასლები.

II. ფინანსური რესურსის გაცემის სქემა:

პროგრამით გათვალისწინებული თანხა ჩაირიცხოს ომში გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცის ერთერთი მშობლის მიერ ბანკში გახსნილ საბანკო ანგარიშზე, მერის ბრძანების საფუძველზე.

**შენიშვნა:** პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შემცირდეს მოსარგებლე პირის გარდაცვალების, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, ან შეიძლება გაიზარდოს მოსარგებლე პირის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

გიორგი დავითაძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
ხელმძღვანელობა